THE WORLD BANK
IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

SARAS.GOV.GE

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

2023-2026 წლების სტრატეგია

სარჩევი

დოკუმენტის შესახებ 3

სამსახურის შესახებ 4

სტრატეგიული მიზანი 1 - კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა 8

ამოცანა 1.1 ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვა კორპორაციული ანგარიშგების გამჭვირვალობის, ხარისხის, დროულობისა და სანდოობის ხელშეწყობის გზით 9

ამოცანა 1.2 კორპორაციული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა 14

სტრატეგიული მიზანი 2 - პროფესიისადმი ნდობის ამაღლება 16

ამოცანა 2.1 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და თვითგანვითარების ხელშეწყობა 17

ამოცანა 2.2 ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში პროფესიის ჩართულობის უზრუნველყოფა 19

სტრატეგიული მიზანი 3 - ევროკანონმდებლობასთან ეტაპობრივი და დინამიური დაახლოება 21

ამოცანა 3.1 ევროკავშირის რეგულაციების კანონმდებლობაში ასახვა და ეტაპობრივი დაახლოება 22

ამოცანა 3.2 დინამიური აპროქსიმაცია 23

სტრატეგიული მიზანი 4 - ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა 25

ამოცანა 4.1 სამსახურის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა 26

ამოცანა 4.2 მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მოძიება და შემდგომი შენარჩუნება 28

ამოცანა 4.3 შემოსავლების დამოუკიდებელი წყარო 29

ამოცანა 4.4 საბჭოს საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება 29

ამოცანა 4.5 დავების განხილვის ფუნქციის გაძლიერება 30



დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) 2023-2026 წლების სტრატეგიულ მიზნებს. იგი მომზადებულია მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ხელშეწყობით. ეს არის პირველი მსგავსი შინაარსის შემცველი დოკუმენტი, რომელსაც ასაჯაროებს სამსახური. იგეგმება აღნიშნული დოკუმენტის პერიოდული განახლებისა და გასაჯაროების პრაქტიკის დანერგვა.

აღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნების მთავარი მიზანია სამსახურის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა. საკუთარი სტრატეგიის მკაფიოდ ჩამოყალიბებითა და გასაჯაროებით სამსახური უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას თავისი მიზნებისა და შესაბამისი ქმედებების შესახებ, რაც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას სამსახურსა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის, აგრეთვე რეფორმისადმი ნდობის შემდგომ გაღრმავებას.

სამსახურის 2023-2026 სტრატეგიული გეგმა განხილულია სამსახურთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს მიერ, რომელშიც წარმოდგენილი არის რეფორმით დაინტერესებული ყველა ძირითადი მხარე, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, სსიპ - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, პროფესიული საზოგადოება, ბიზნეს ასოციაციები და აკადემიური წრეები. სამსახური მზად არის მიიღოს უკუკავშირი პროფესიის ცალკეული წარმომადგენლებისგან, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებისგან, სხვა მარეგულირებელი ორგანოებისგან და სახელმწიფო უწყებებისგან, რათა გაითვალისწინოს ყველა ღირებული და საინტერესო პერსპექტივის შემცველი შეხედულება თუ მოსაზრება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახური არის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის საქმიანობა 100%-ით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მისია:
ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხარისხისა და სანდოობის ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების გზით

ხედვა:
გამჭვირვალე გარემო ქვეყნის განვითარების წინაპირობაა

ღირებულებები:
- ვიყოთ პატიოსნები, ობიექტურები და მიუკერძოებლები
- ყურადღებით მოვეპყროთ დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს და მოვახდინოთ დროული რეაგირება
- ხელი შევუწყოთ სწავლებას და ხარისხის განვითარებას
- მოვიკვლიოთ და დავნერგოთ საუკეთესო საზედამხედველო პრაქტიკა
- ვიყოთ ღია თანამშრომლობისთვის საერთო მიზნების მისაღწევად

ძირითადი საქმიანობა
სამსახურის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ანგარიშგების პორტალის (Reportal.ge) მართვას, რისკზე დაფუძნებული მიდგომით წარდგენილი ანგარიშგებების სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან[1] შესაბამისობის შემოწმებას, აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეესტრების წარმოებას, აუდიტორთა/აუდიტორულ ფირმათა ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს, სასერტიფიკაციო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების რეესტრის წარმოებას, პროფესიული განათლების ზედამხედველობას, სერტიფიცირებული და პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების რეესტრის მართვას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ზედამხედველობას, კანონით განსაზღვრული ყველა საზედამხედველო სფეროს შესაბამის ადმინისტრირებას.

[1] „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანებით დამტკიცებული წესი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია სამსახურის საქმიანობის ძირითადი ფაქტობრივი და დაგეგმილი მაჩვენებლები საზედამხედველო მიმართულებების მიხედვით:

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობა

საწარმოთა კატეგორიები	აქტიურ საწარმოთა რაოდენობა (2022)	წარდგენა/ გასაჯაროების მაჩვენებელი (2022)	წარდგენა/ გასაჯაროების მაჩვენებელი (2026 წლის მიზნობრივი)	კანონთან და წესთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებული ანგარიშგებების წილი (2022)	კანონთან და წესთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებული ანგარიშგებების დახარვეზების მაჩვენებელი (2022)	ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით მიმოხილული ანგარიშგებების წილი (2022)	ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით მიმოხილული ანგარიშგებების წილი (2026 წლის მიზნობრივი)
სდპ	135	96%	100%	100%	24%	4%	10%
I კატეგორია	134	92%	97%	100%	25%		
II კატეგორია	652	93%	97%	100%	24%		
III კატეგორია	4,787	95%	96%	- 80%	14%	-	5%
IV კატეგორია	91,906	77%	85%	98% ავტომატური შემოწმება	1%		-

აუდიტის ზედამხედველობა

ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი

	ფირმების რაოდენობა რეესტრში 2022 წლის ბოლოს	მონიტორინგების რაოდენობა 2017-2022	ბაზრის დაფარვის მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოს	დაფარვის სამიზნე მაჩვენებელი 2026 წლის ბოლოსთვის
სდპ ფირმები	14	36	100%	100%
აქტიური არა-სდპ ფირმები/ინდ. აუდიტორები	195	113	58%	89%
არააქტიური არა-სდპ ფირმები/ინდ. აუდიტორები	155	76	49%	100%

მონიტორინგის შედეგები:

	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია	V კატეგორია	VI კატეგორია	კატეგორიის გარეშე
ფირმების/აუდიტორების რაოდენობა 2022 წლის ბოლოსთვის	4	10	15	33	52	3	76

კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება (მოკვლევა) (იწყება 2023 წლიდან):

	2023	2024	2025	2026
განხორციელებული მოკვლევის რაოდენობა	3	3	3	3

სასერტიფიკაციო პროგრამებისა და განგრძობითი განათლების პროგრამებისა და საგამოცდო პროცესების აღიარება

	2022 წლის ბოლოს	სამიზნე მაჩვენებელი 2026 წლის ბოლოსათვის
სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარება	2	6
საგამოცდო პროცესების აღიარება	1	1
განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარება	15	27

მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში ფუნქციონირებს 2 პროფესიული ორგანიზაცია. თითოეული მათგანი ყოველ 3 წელიწადში, აღიარების მიზნით სამსახურს წარუდგენს 1 პროფესიული სერტიფიცირების პროგრამას. აღნიშნული პრინციპით 2020 წელს აღიარდა 2 სასერტიფიკაციო პროგრამა. ანალოგიურად, 2023 და 2026 წლებში იგეგმება 2-2 პროგრამის აღიარება.

პროფესიული ორგანიზაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი

	2020	2024-2026
პროფესიული ორგანიზაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი	ჩატარდა 2 მონიტორინგი	ჩატარდება 2 მონიტორიგი

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობა

	ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა 2022 წლის ბოლოს	დისტანციური ან/და ადგილზე შემოწმების რაოდენობა 2023-2026*	დისტანციური ან/და ადგილზე შემოწმებების საშუალო ყოველწლიური მაჩვენებელი*	ბაზრის დაფარვის მაჩვენებელი 2026 წლის ბოლოს
პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრები	500**	235	3%	10%
საბუღალტრო ფირმები	1200**			
სერტიფიცირებული ბუღალტრები	335			
აუდიტორები	58			
აუდიტორული ფირმები	269			

* შემოწმებების დაწყება იგეგემება 2024 წლიდან.
** მითითებული მონაცემები წარმოდგენილია შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.



სტრატეგიული მიზანი 1

კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა

ამოცანა 1.1

ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვა კორპორაციული ანგარიშგების გამჭვირვალობის, ხარისხის, დროულობისა და სანდოობის ხელშეწყობის გზით

სამსახურის ხედვით, გამჭვირვალე, ხარისხიანი, დროული და სანდო კორპორაციული ინფორმაციის, ცენტრალურ სივრცეში ხელმისაწვდომობა, ზრდის ინვესტორთა, კრედიტორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობას და დაცულობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებასა და საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

კორპორაციული ანგარიშგების გამჭვირვალობა

ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმის ფარგლებში, რომელიც 2016 წლიდან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობს, საქართველოში მოქმედ რიგ საწარმოებს დაევალათ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge) კორპორაციული ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება. კერძოდ, სდპ და I კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს ევალებათ ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების, ხოლო II კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს მსს ფასს სტანდარტებით მომზადებული აუდიტირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება, III კატეგორიის საწარმოებს/ჯგუფებს მსს ფასს სტანდარტით მომზადებული არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა/გასაჯაროება, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებს სამსახურის მიერ შექმნილი გამარტივებული ანგარიშგების სტანდარტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. საწარმოები/ჯგუფები უფლებამოსილნი არიან უფრო მაღალი კატეგორიის მოთხოვნების მიხედვით წარადგინონ/გაასაჯაროონ ანგარიშგება.

2022 წელს, ანგარიშგებების წარდგენის მაჩვენებელმა სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის - 94%-ი, ხოლო IV კატეგორიის საწარმოების გათვალისწინებით 78%-ი შეადგინა. საერთო ჯამში, 2021 წლის ანგარიშგებები 77 ათასამდე საწარმომ წარადგინა. 2026 წლისთვის, რიგი ღონისძიებების მეშვეობით, მოსალოდნელია წარდგენის მაჩვენებლების, სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის 95%-მდე, ხოლო მეოთხე კატეგორიის საწარმოთა გათვალისწინებით 85%-მდე ზრდა. აღნიშნული ზრდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საწარმოთა წარმომადგენლებს და რეფორმაში მონაწილე ყველა სხვა მხარეს კარგად ჰქონდეს გააზრებული აღნიშნული პროცესის და ზოგადად რეფორმის გრძელვადიანი სარგებელი. ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, სამსახური აქტიურად გააგრძელებს მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარებასა და საინტერესო საერთაშორისო გამოცდილების მოძიებასა და გაზიარებას.

ანგარიშგებების კანონთან შესაბამისობისა და სისრულის მიმოხილვა

მიუხედავად რეფორმის მაღალი ტემპისა და წარდგენის მაღალი მაჩვენებლისა, ძირითადი დაინტერესებული მხარეების შეფასებით კვლავ რჩება გამოწვევად საწარმოების მიერ წარდგენილი ანგარიშგების ხარისხი, სანდოობა, დროულობა და წარდგენის სიხშირე.

წარდგენილი ანგარიშგებების კანონთან შესაბამისობისა და სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახური ახორციელებს, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე შერჩეული ანგარიშგებების მიმოხილვას, რათა დაადგინოს მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა. ამ პროცესის ფარგლებში სათითაოდ მოწმდება შერჩეული ანგარიშგების სისრულე, მათ შორის, შესაბამისი სტანდარტის გამოყენების, მმართველობითი ანგარიშგების წარდგენის, აუდიტის და სხვა მოთხოვნების შესრულება. აღსანიშნავია, რომ სდპ, I და II კატეგორიის საწარმოების/ჯგუფების მიერ წარდგენილი ანგარიშგებების მიმოხილვა ხორციელდება სრულად, III კატეგორიის საწარმოების/ჯგუფების მიერ წარდგენილი ანგარიშგების მიმოხილვა ხორციელდება შერჩევით, ხოლო IV კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების ძირითადი შემოწმება ხორციელდება წარდგენის პროცესში, სისტემის მიერ ავტომატურ რეჟიმში, წინასწარ განსაზღვრული კონტროლების შესაბამისად.

ქვედა ცხრილში შეჯამებულია წარდგენილი ანგარიშგებების დახარვეზების მაჩვენებელი:

	2020 წ.	2021 წ.
სდპ	26%	24%
I კატეგორია	27%	25%
II კატეგორია	26%	24%
III კატეგორია	22%	14%
IV კატეგორია	2%	1%

დახარვეზების მაჩვენებლის შემცირება ჯანსაღი პროცესია, რომელიც მიუთითებს წარდგენილი ანგარიშგებების კანონთან და წესთან შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სამსახური, წარდგენილი ანგარიშგებების შემოწმებასთან ერთად, აქტიურად გააგრძელებს მიზნობრივ შეხვედრებს კომპანიის წარმომადგენლებთან, რათა მეტად გაუადვილოს მათ საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება. ასევე, სამსახური პერიოდულად აქვეყნებს სახელმძღვანელო ვიდეორგოლებს ანგარიშგების პორტალზე და სოციალურ ქსელებში (მათ შორის საკუთარ YouTube არხზე), სადაც დეტალურადაა აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნები, მათ შორის, ანგარიშგებების მომზადება/წარდგენის მიმართულებით.

ანგარიშგებების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხისა და სანდოობის ზრდის ხელშესაწყობად, 2020 წლიდან სამსახური, რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე, არჩევს ანგარიშგებებს და ახორციელებს მათ მიმოხილვას ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის თანახმად, ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თავად საწარმოს. მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების ჩამონათვალს და აღწერას სამსახური წერილობითი ფორმით აწვდის შესაბამის საწარმოს, რომელთა გათვალისწინებაც, მითითების შესაბამისად აუცილებელია მიმდინარე ან მომდევნო წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. მეტი გამჭვირვალობისთვის და საწარმოთათვის აღნიშნული პროცესის გამარტივების მიზნით, სამსახურის მიერ ყოველწლიურად გამოიცემა მომდევნო წლის მიმოხილვის პრიორიტეტები, სადაც აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამსახური საწარმოების მიერ წარდგენილ და გასაჯაროებულ ანგარიშგებებს მათი მიმოხილვის მიზნით და რა პროცესის გავლა მოუწევთ სუბიექტებს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

სამსახურმა 2020-2022 წლების განმავლობაში ჯამში 93 ანგარიშგება მიმოიხილა. სამსახური ყოველწლიურად, სდპ, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოთა სრული პოპულაციის 4%-ს მიმოიხილავს, ხოლო მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ანგარიშგებების მიმოხილვა არ ხორციელდება. 2026 წლისთვის, სამსახური გეგმავს ყოველწლიური 4%-იანი მაჩვენებლის 10%-მდე, ხოლო მესამე კატეგორიის საწარმოთათვის 5%-მდე ეტაპობრივ ზრდას. ამ პროცესში დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამსახური ყოველწლიურად გამოსცემს მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობების აღმწერ დოკუმენტს. აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება ხელს უწყობს წარდგენილი ანგარიშგებების სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის ამაღლებას.

წარდგენილი/გასაჯაროებული ანგარიშგებების დროულობა და წარდგენის სიხშირე

კანონის შესაბამისად, სუბიექტები ვალდებულნი არიან ანგარიშგებები წარადგინონ მისი ხელმისაწვდომობისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 9 თვისა. დღევანდელი მოცემულობით, საწარმოთა უმრავლესობა ანგარიშგებას წარადგენს კანონით განსაზღვრული ვადის ბოლოს.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენის დინამიკა



2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარდგენის დინამიკა



ანგარიშგებების დროულობა უაღრესად მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდისთვის. განსაკუთრებით კი ფინანსური ინსტიტუტებისთვის, სესხის დამტკიცების/გაცემის პროცესში, სადაც გამოყენებული ინფორმაციის ხანდაზმულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. იმისათვის, რომ გასაჯაროებული ანგარიშგებები მეტი სარგებლის მომტანი იყოს მათი მომხმარებლისთვის, სამსახური რიგი ღონისძიებების საშუალებით, გეგმავს წაახალისოს ანგარიშგების ადრეული წარდგენა და ასევე ნახევარწლიური ანგარიშგებების ნებაყოფლობითი წარდგენა.

სავალდებულო აუდიტი და აუდიტორთა ზედამხედველობა

სამსახური, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრის წარმოებას; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას; აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს; აგრეთვე ატარებს აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევას და ახორციელებს მათ სანქცირებას გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად.

კანონის მოთხოვნის საფუძველზე სდპ, I და II კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებას თან დაურთონ აუდიტორის მიერ გაცემული დასკვნა. დამოუკიდებელი აუდიტი განაპირობებს ანგარიშგების სანდოობას და ასრულებს ნდობით აღჭურვილი დამაკავშირებლის ფუნქციას ინფორმაციის მწარმოებლებსა და ამ ინფორმაციის მომხმარებლებს შორის.

საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აუდიტის ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ სამსახურის რეესტრში რეგისტრირებულ აუდიტორს.

აუდიტორების და აუდიტორული ფირმების რეესტრი

2016 წლიდან სამსახური აწარმოებს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის უფლებამოსილების მქონე აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ერთიან სახელმწიფო რეესტრს. 2022 წლის ბოლოსთვის რეესტრში რეგისტრირებულია 264 ფირმა და 439 აუდიტორი (მათ შორის 102 ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორი). რეესტრში აისახება ინფორმაცია შემოსავლების, თანამშრომელთა რაოდენობის, ხარისხის მონიტორინგის შედეგების, პროფესიული დაზღვევის, სერტიფიცირების, მფლობელობის შესახებ, რაც ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს სანდო და კვალიფიციური პროფესიონალების შერჩევაში ან შესარჩევი კრიტერიუმების დადგენაში.

აღსანიშნავია, რომ სამსახური 2018 წლიდან არის აუდიტის დამოუკიდებელ რეგულატორთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) წევრი, რაც მას საშუალებას აძლევს მონიტორინგი განახორციელოს საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. 2022 წლის ბოლოსთვის, სამსახურის მიერ განხორციელებულმა ხარისხის კონტროლის სისტემის (2023 წლიდან - ხარისხის მართვის) მონიტორინგმა გამოავლინა 14 სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე ფირმა, რომლებიც შეადგენს აუდიტორული მომსახურების ბაზრის 77%-ს. მონიტორინგმა აგრეთვე გამოავლინა მესამე კატეგორიის 15 ფირმა, რომლებიც საზოგადოების ასევე მაღალი ნდობით გამოირჩევიან და უფლებამოსილნი არიან განახორციელონ სდპ-ების გარდა ყველა სხვა კატეგორიის საწარმოს აუდიტი, შეუზღუდავად. ამგვარი ფირმების წილი შეადგენს აუდიტორული მომსახურების ბაზრის 8%-ს.

სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე ფირმების მონიტორინგი ტარდება საშუალოდ 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო დანარჩენი აუდიტორული ფირმების შემთხვევაში - საშუალოდ 6 წელიწადში ერთხელ. განვლილი 6 წლის მანძილზე სამსახურმა ჩაატარა 225 მონიტორინგი. სულ მონიტორინგს დაექვემდებარა 193 ფირმა. შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით მივიღეთ ხარისხობრივი კატეგორიების შემდეგი განაწილება - პირველ კატეგორიაში არის 4 აუდიტორული ფირმა, მეორეში - 10, მესამე კატეგორიაში - 15 ფირმა, მეოთხეში - 33 ფირმა, ხოლო მეხუთე კატეგორიაში 52 აუდიტორული ფირმა. მეექვსე ხარისხობრივი კატეგორია, ანუ რეგისტრაციის გაუქმება შეეხო 3 აუდიტორულ ფირმას. 76 აუდიტორული ფირმის შემთხვევაში ვერ მოხერხდა ხარისხის შეფასება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგებათა არასაკმარისი რაოდენობის გამო, რის შედეგადაც ამ ფირმებს მიენიჭათ „კატეგორიის გარეშე“ სტატუსი.

2022 წლის ბოლოსთვის მონიტორინგებმა მოიცვა სდპ ფირმების 100%, აქტიური არა-სდპ ფირმების 58% და არააქტიური არა-სდპ ფირმების 49%. გეგმის მიხედვით 2026 წლის ბოლოსთვის მონიტორინგები დაფარავს სდპ ფირმების 100%-ს, აქტიური არა-სდპ ფირმების 89%-ს და არააქტიური არა-სდპ ფირმების 100%-ს.

მონიტორინგების შედეგების გათვალისწინებით, სავალდებულო აუდიტის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, სამსახური საშუალოვადიან პერიოდში გეგმავს სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორული ფირმების მხრიდან ბაზრის განვითარების მოცემული ეტაპისთვის აქტუალური აუდიტის ხარისხის ინდიკატორების გამჟღავნების პრაქტიკის შემოღებას და ხარისხზე დაფუძნებული კონკურენციის ხელშეწყობას. ასევე, სდპ და არა-სდპ (მესამე კატეგორია) აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორული ფირმების ხარისხის მართვის სისტემაში გამოვლენილი ნაკლოვანებების რემედიაციის პროცესის ხელშეწყობას აუდიტის ხარისხის შემდგომი დახვეწის მიზნით.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიულ შესაძლებლობებზე, მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესებაზე დადებით გავლენას ახდენენ პროფესიული ორგანიზაციები. მათი აღიარებული მისიაა ემსახურონ საზოგადოების ინტერესებს, გააძლიერონ ბუღალტრის/აუდიტორის პროფესია და წვლილი შეიტანონ ეკონომიკის გაძლიერებაში. სამსახური სტრატეგიული მიზანია, პროფესიული ორგანიზაციების ხელშეწყობა მდგრადი მმართველობის სისტემის განვითარების პროცესში. სამსახური სამომავლოდ განიხილავს, არასავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მქონე ფირმების, ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის პროფესიულ ორგანიზაციებზე დელეგირებას.

აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების დანერგვა

კანონით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში სამსახური დაარსების მომენტიდან ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს სტანდარტებისა და მსს ფასს სტანდარტის) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს სტანდარტების) თარგმნასა და სამოქმედოდ შემოღებას. ამ ფუნქციის ეფექტიანი შესრულებისთვის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურმა შექმნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) თარგმანის ხელშეწყობისა და შეფასების სამუშაო ჯგუფი (ექსპერტთა კომიტეტი) და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელოს თარგმანის ხარისხის შეფასების სამუშაო ჯგუფი (ექსპერტთა კომიტეტი), რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტანდარტების თარგმნისა და ფინანსური ტერმინების დამკვიდრების პროცესში. ფინანსური ტერმინების დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც კომიტეტების წევრები აქტიურად არიან ჩართულნი და საბოლოო გადაწყვეტილებას ტერმინებთან დაკავშირებით იღებენ ელექტრონული/პროგრამული კენჭისყრის გზით. ამ პროცესის ფარგლებში, სამსახური პარალელურად ქმნის ტერმინოლოგიურ ბაზას, რაც ხელს უწყობს თარგმანის პროცესის გამარტივებას და უზრუნველყოფს ტერმინოლოგიის ზუსტ და თანმიმდევრულ გამოყენებას, რაც აუმჯობესებს თარგმანის საერთო ხარისხს.

სამსახურმა, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებითა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, 2018 წელს შეიმუშავა და 2022 წელს განაახლა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი და თვითსწავლების სახელმძღვანელო IV კატეგორიის საწარმოებისთვის. სტანდარტი თანხვედრაშია ევროდირექტივების მოთხოვნებთან და ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. საწარმოთა მხარდაჭერისთვის და სტანდარტის დანერგვის პროცესის ხელშეწყობისთვის სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიქმნა აღნიშნული სტანდარტის ინტერპრეტაციების სამუშაო ჯგუფი, რომელიც სტანდარტთან არსებულ კითხვებზე პასუხის, ცვლილების საჭიროებისა და დანერგვის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გადაწყვეტაში იღებს მონაწილეობას. სამსახურის ხედვით, მნიშვნელოვანია მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი იყოს დინამიური და პასუხობდეს საწარმოთა და ანგარიშგების მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნებს და საერთაშორისო პრაქტიკას, თუმცა მისი ცვლილება არ უნდა იყოს ხშირი.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში 2023 წლიდან სავალდებულო ხდება კორპორაციული ინფორმაციის, კერძოდ კი კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის დანერგვა. დინამიური აპროქსიმაციის ფარგლებში, სამსახური გეგმავს ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც დეტალურადაა განხილული მესამე მიზნის მეორე ამოცანაში.

სტანდარტების დანერგვის პროცესის ხელშესაწყობად, სამსახური პერიოდულად მართავს და მომავალშიც პრიორიტეტულად მიიჩნევს შესაბამისი თემატიკის ღონისძიებების ჩატარებას, როგორც საწარმოებისთვის, ასევე მათი აუდიტორებისთვის.

2025 წლისთვის ფასს ფონდის მიერ დაგეგმილია მსს ფასს სტანდარტის განახლება. განახლებული სტანდარტის დანერგვის პროცესის გასამარტივებლად, სამსახური გეგმავს შესაბამისი სატრენინგო/სახელმძღვანელო მასალის განახლებას და აქტიურ თემატურ შეხვედრებს საწარმოებსა და აუდიტორებთან.

ამოცანა 1.2

კორპორაციული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა

ძალზედ მნიშვნელოვანია სამსახურში წარდგენილი და reportal.ge-ზე გასაჯაროებული ანგარიშგებების დროული და ხარისხიანი დამუშავება, არა მხოლოდ სამსახურის, არამედ ყველა დაინტერესებული პირის მიერ ინფორმირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამსახურის მხრიდან, კორპორაციული ინფორმაციის/ბაზის დაინტერესებულ პირთათვის (მათ შორის, პოტენციური ინვესტორებისთვის/კრედიტორებისთვის) მოსახერხებელ ფორმატში დროულად მიწოდება გადამწყვეტი წინაპირობაა მათ მიერ ეფექტიანი და სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებასა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

სამსახურში წარდგენილი ანგარიშგებების ფორმატი და ხელმისაწვდომობა
საწარმოები ანგარიშგების წარდგენის პორტალზე (https://rms.reportal.ge/) ანგარიშგებას წარადგენენ ელექტრონულად. სდპ, I, II და III კატეგორიები/ჯგუფები ანგარიშგებას წარადგენენ PDF ფორმატში და დამატებით, ანგარიშგების ძირითად კომპონენტებს წარადგენენ ციფრულად, სამსახურის მიერ შემუშავებულ სტანდარტულ ფორმებში, შესაბამისი კატეგორიისა და სტანდარტის მიხედვით. სდპ, I, II კატეგორიების/ჯგუფების მიერ წარდგენილი აუდიტირებული ანგარიშგებების შესაბამისობას აუდიტორი დამატებით ადასტურებს ელექტრონულად. IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება სრულად ციფრულ ფორმატში, სტანდარტის მიერ განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების ციფრული ფორმების მიხედვით.

საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგებები საჯაროვდება ანგარიშგების პორტალზე (Reportal.ge) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს IV კატეგორიის საწარმოთა ანგარიშგებები, რომელზეც დაინტერესებულ მხარეს, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წვდომა ენიჭება საწარმოს თანხმობის შემთხვევაში.

დამატებით, სამსახური ახდენს დაინტერესებული პირებისთვის სუბიექტების მიერ ციფრულად წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისი ფორმატით დამუშავებას და უზიარებს ინსტიტუციურ მომხმარებლებს ან მკვლევრებს შემდგომი დამუშავებისათვის. მათ შორის არიან კომერციული ბანკები, საზედამხედველო და ადმინისტრაციული ორგანოები, საინვესტიციო კომპანიები, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები, საკონსულტაციო და ანალიტიკური ფირმები, აკადემიური სექტორის წარმომადგენლები და სხვ. სამსახურმა უკვე 120-ზე მეტ დაინტერესებულ პირს გაუზიარა აღნიშნული ბაზები.

სამსახური გეგმავს დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით კი საბანკო სექტორთან და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას, რათა მათი მხრიდან მოხდეს ფინანსური ინფორმაციის ეფექტიანი დამუშავება და გამოყენება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშესაწყობად.

ანგარიშგებების სრული გაციფრულება | XBRL სტანდარტი
სამსახურში წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდისა და დამუშავება/მიმოცვლის გამარტივების მიზნით, ძალზედ მნიშვნელოვანია ანგარიშგებების სრულად გაციფრულება და ქვეყანაში ანგარიშგების ციფრული სტანდარტის დანერგვა. აღნიშნული მიზნით, სამსახურის ინიციატივითა და მსოფლიო ბანკის აღმოსავლეთის პარტნიორობის STAREP პროგრამის დაფინანსებით, განხორციელდა ციფრული ანგარიშგების სტანდარტის (ე.წ. XBRL სტანდარტის) დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევა, რომლის შედეგებმაც გამოავლინა, რომ აღნიშნული სტანდარტის დანერგვა და ანგარიშგებების გაციფრულება ხელს შეუწყობს ანგარიშგების ხარისხის ზრდას და მნიშვნელოვნად გაამარტივებს მის დამუშავებას დაინტერესებული პირების, მათ შორის პოტენციური ინვესტორების მიერ. შესაბამისად, მომდევნო წლებში ვგეგმავთ ამ მიმართულებით კომპანიების ცნობიერების ამაღლებას და აღნიშნული სტანდარტის დანერგვის პროცესის დაწყებას.

აღნიშნული სტანდარტის დანერგვა გააუმჯობესებს საჯარო ინფორმაციის ხარისხსა და სანდოობას, ასევე ხელს შეუწყობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ თანამშრომლობას სხვა უწყებებთან.

ერთი ფანჯრის პრინციპი

სამსახური ჩართულია ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაციაში და წარმატებით თანამშრომლობს რიგ უწყებებთან ე.წ. „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დანერგვაზე, რაც გულისხმობს საწარმოთა მხრიდან ერთ სტრუქტურაში წარდგენილი ინფორმაციის გაზიარებას, საჯარო სექტორში საწარმოს ჩართულობის გარეშე, კანონის ფარგლებში, კონფიდენციალურობის მოთხოვნების დაცვით. ერთი ფანჯრის პრინციპი საწარმოთათვის ამარტივებს სხვადასხვა უწყებებში ინფორმაციის წარდგენას და აღმოფხვრის ინფორმაციის დუბლირებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პროცესის ეფექტიანობას და კერძო სექტორისთვის ინფორმაციის წარდგენის ტვირთის შემსუბუქებას.

ამ პრინციპის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის მიერ წარსადგენი ანგარიშგებების ე.წ „ქვეყნის ანგარიშგების რუკის“ მომზადება, რაც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით კერძო სექტორის მიერ წარსადგენი ინფორმაციის/ანგარიშგებების და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას და თავმოყრას ერთ დოკუმენტში. აღნიშნული რუკა დააიდენტიფიცირებს წარდგენის პროცესში დუბლირებას და გამოკვეთს პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას.

აღნიშნული პრინციპის ფარგლებში, წარმატებით ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უწყებასთან, მათ შორის მარეგულირებლებთან, „აწარმოე საქართველოსთან“, შემოსავლების სამსახურთან, საჯარო რეესტრთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან, რომელთანაც საჯარო ინფორმაციის გაზიარება ხდება ელექტრონულად. სამსახური ღიაა და აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას დაინტერესებულ პირებთან.



სტრატეგიული მიზანი 2

პროფესიისადმი ნდობის ამაღლება

ამოცანა 2.1

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და თვითგანვითარების ხელშეწყობა

აუდიტის პროფესია უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტიციების მოზიდვის, ჯანსაღი კორპორაციული მმართველობის კულტურის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკის განვითარების პროცესში, ვინაიდან სწორედ აუდიტორის მიერ გაცემული რწმუნება ხდის ფინანსურ ანგარიშგებას სანდოს და მიმზიდველს ინვესტირებისათვის. იმისათვის რომ ინვესტორმა თამამად განახორციელოს საწარმოში ინვესტირება, მას უნდა ჰქონდეს სათანადო ნდობა ქვეყანაში გაწეული აუდიტორული მომსახურებისადმი.

მიგვაჩნია, რომ ნდობის მოპოვების/ამაღლების ძირითადი საფუძველი არის გაწეული მომსახურების ხარისხი - რაც უფრო მაღალია მომსახურების ხარისხი, მით უფრო მაღალია მისადმი ნდობაც. სწორედ ეს არის პროფესიის რეგულირების ძირითადი მიზანი - პროფესიის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ხელშეწყობა და შედეგად, საზოგადოების მხრიდან მომსახურებისადმი ნდობის გაზრდა.

აუდიტის ხარისხის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ვლინდება, რომ მიუხედავად პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების (აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკის კოდექსი, ხარისხის მართვის სტანდარტი) და პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებული ტრენინგების ხელმისაწვდომობისა, აუდიტის სფეროში პროფესიული კომპეტენციის ამაღლება და მუდმივი განვითარება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება, რაც ბუნებრივია ნეგატიურად აისახება პროფესიისადმი ნდობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გეგმავს აუდიტორული მომსახურების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს.

ხარისხობრივი შეფასების არსებული სისტემის განახლება

საშუალოვადიან პერსპექტივაში სამსახური გეგმავს საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შეფასების არსებული სისტემის შეცვლას, რომელმაც რეფორმის დასაწყისიდან 6 წლის თავზე შეასრულა თავისი ძირითადი მიზანი - აუდიტორული მომსახურების ბაზრის მონაწილეთა უმეტესობის კალიბრაცია ხარისხის დონეების ძირითადი სპექტრის მიხედვით და ხარისხის ამაღლებისთვის ძირითადი ორიენტირების დასახვა. ახალი, გამარტივებული შეფასების სისტემა ერთი მხრივ ხელს შეუწყობს არასათანადო ხარისხის აუდიტის პრაქტიკის სრულ აღმოფხვრას, მეორე მხრივ კი დამატებით ბიძგს მისცემს მაღალი ხარისხის მქონე ფირმებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

ახალი შეფასების სისტემით პირველი და მეორე ხარისხობრივი კატეგორიები გაერთიანდება ერთ, „სდპ აუდიტის უფლებამოსილების მქონე“ ჯგუფში. აღნიშნული გაერთიანება ემსახურება შედარებით მცირე ზომის, მაგრამ მაღალი ხარისხის ფირმებისადმი (ამჟამინდელი II ხარისხობრივი კატეგორიის ფირმები) ნდობის გაზრდას, ვინაიდან განვლილმა მონიტორინგებმა გამოავლინა, რომ მეორე კატეგორიის ფირმებში ფიქსირდება საქმიანობის ის ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს სდპ აუდიტის მოთხოვნებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სდპ აუდიტის უფლებამოსილების მოპოვება/შენარჩუნებისთვის საჭირო მინიმალური ხარისხობრივი მოთხოვნა იქნება გაზრდილი, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ნდობის გაზრდას მხოლოდ გაუმჯობესებული ხარისხის პირობებში.

ახალი შეფასების სისტემით აგრეთვე გაერთიანდება მე-3 და მე-4 ხარისხობრივი კატეგორიები ე.წ. „სავალდებულო აუდიტის განხორციელების უფლებამოსილ“ (გარდა სდპ-ის) ჯგუფში. ამ ჯგუფშიც ხარისხობრივი მოთხოვნები იქნება გაზრდილი და სავალდებულო აუდიტის უფლებამოსილების მოპოვება/შენარჩუნებისთვის მინიმალური ხარისხობრივი მოთხოვნა იქნება ახლანდელი მესამე კატეგორიის ხარისხი.

ამჟამინდელ მე-5 ხარისხობრივ კატეგორიას მიეცემა განსაზღვრება „არასავალდებულო აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მქონე“, რაც სდპ, I და II კატეგორიის საწარმოებსა და ჯგუფების აუდიტზე წვდომის სრულ შეზღუდვას გულისხმობს. ამ ჯგუფში მოხვედრილ ფირმებს მიეცემათ გონივრული ვადა ხარისხის გამოსწორებაზე - მათ უნდა გამოავლინონ ამისთვის კონკრეტული სამოქმედო გეგმა და მოტივაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ასეთი ფირმების/აუდიტორების რეგისტრაციის გაუქმება.

ანალოგიური მიდგომით, აუდიტის გარიგებების არმქონე, „კატეგორიის გარეშე“ ფირმებს (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე) მიეცემათ გონივრული ვადა ხარისხის გამჟღავნებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პირები გადავლენ არასავალდებულო კატეგორიაში და პროგრესის არქონის შემთხვევაში დატოვებენ რეესტრს.

აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით სამსახურში შემოსულ საჩივრებზე რეაგირების (მოკვლევის) სისტემის გამართვა

გარდა ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისა, ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის განხორციელება, რომელიც ემსახურება აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, რეესტრში ინფორმაციების სისწორის გადამოწმების კონტროლს. სამსახურის მიზანია მოკვლევის საშუალებით სამართალდარღვევათა გამოვლენა, აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით სამსახურში შემოსულ საჩივრებზე რეაგირების (მოკვლევის) სისტემის გამართვა (მესამე პირთა უფლებათა დასაცავად) და სამართალდარღვევათა/რისკების პრევენცია. ეფექტიანი მოკვლევის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურს შეუძლია სასამართლოს განჩინების საფუძველზე განახორციელოს პირის ადგილზე შემოწმებაც, რაც უფრო ეფექტიანი საშუალებაა საქმის წარმოებისა და სამართალდარღვევათა გამოვლენის თვალსაზრისით.

სანქცირების/აღსრულების ეფექტიანი სისტემის შემდგომი განვითარება

საქართველოს კანონმდებლობა აუდიტის სფეროში ეფუძნება ევროკავშირის შესაბამის სამართალს, დირექტივებსა და რეგულაციებს. მინიმალური სტანდარტი, რასაც დირექტივა აწესებს, არის სახელმწიფოს მხრიდან სანქცირების უფლებამოსილება, აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში ნორმის ეფექტიანი გამოყენება და დაკისრებული სანქციების გამოქვეყნება. აუდიტის სფეროში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის განსაზღვრულია კანონით და მისი დირექტივებთან შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მინიმალური სტანდარტები სანქციებთან მიმართებით, რასაც დირექტივა განსაზღვრავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, საქართველოს საკანონმდებლო დონეზე უკვე დანერგილია. საქართველოში აუდიტის სფეროში გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფუნქცია სრულად აქვს სახელმწიფოს (საზედამხედველო ორგანოს). რაც შეეხება სფეროსადმი მოთხოვნას, უფლებამოსილების ფარგლებში ნორმის ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით, სამსახურის მიერ დაწყებულია პროცესები - სანქცირების/აღსრულების ეფექტიანი სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით.

პროფესიით დაინტერესების ხელშეწყობა

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზომებისა, სამსახური ასევე გეგმავს აუდიტორული მომსახურების ხარისხის და შესაბამისად, პროფესიისადმი ნდობის გაზრდაზე ორიენტირებულ ისეთ ნაბიჯებს, როგორიცაა: ახალი ეროვნული განათლების სტანდარტის ინიცირება უმაღლესი სასწავლებლებისთვის, განათლების ხარისხის ცენტრთან თანამშრომლობის შედეგად უნივერსიტეტების მიერ დადგენილ განათლების სტანდარტთან შესაბამისად დანერგილი საგნების აღიარება პროფესიული სერტიფიცირების პროცესში ჩათვლების მიღების მიზნით; მცირე ზომის აუდიტორული ფირმების და დამწყებ აუდიტორთა პროფესიული განათლების დონის ზრდის ხელშეწყობა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ექსპერტების მიერ შესაბამისი ტრენინგების და სემინარების ჩატარების გზით; ახალი ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა მონიტორინგის პროცესის ოპტიმიზაციის გზით.

სამსახური აქტიურად მონაწილეობს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ საბჭოში იმისთვის, რომ დადგინდეს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულებით დარგობრივი მახასიათებლები, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამების აკრედიტაციისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს. აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტებში გავლილი საგნები ჩაითვალონ პროფესიული სერტიფიცირების მიზნებისთვის. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რათა აუდიტი დაემატოს რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალს, რის შედეგადაც პროფესიული სერტიფიცირების მოქმედი სტანდარტის მოთხოვნები სავალდებულო გახდება უნივერსიტეტებისთვის, შესაბამისად, გაიზრდება სტუდენტების დასაქმების პერსპექტივაც. ვფიქრობთ, აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიით დაინტერესების ზრდას.

ამოცანა 2.2

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში პროფესიის ჩართულობის უზრუნველყოფა

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის სამსახური 2019 წლიდან განისაზღვრა საზედამხედველო ორგანოდ სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებული პირებისთვის, რომლებიც 2023 წლის მდგომარეობით არიან - სერტიფიცირებული ბუღალტერი, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, საბუღალტრო ფირმა, აუდიტორი და აუდიტორული ფირმა. პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრები და საბუღალტრო ფირმები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2022 წელს განისაზღვრნენ სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებულ პირებად.

ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და პრედიკატული დანაშაულების აღმოფხვრის ხელშეწყობის, აგრეთვე სექტორის რეპუტაციული და ფინანსური კეთილდღეობისთვის, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სექტორის ზედამხედველობა, რაც გამოიხატება პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების იდენტიფიცირებაში, ანგარიშვალდებული პირების ცნობიერების ამაღლებასა და სამსახურის მიერ რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის უზრუნველყოფაში.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება

სამსახურის მიზანია ხელი შეუწყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოცანების შესრულებას, რათა შეიქმნას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმი, რისთვისაც იგი მიმართულია შეიმუშაოს სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და ევროდირექტივებთან. მნიშვნელოვანია ასევე ანგარიშვალდებულ პირთათვის საჭირო სახელმძღვანელო მითითებების გამოცემა, საკანონმდებლო მოთხოვნების უკეთესად შესრულების უზრუნველსაყოფად.

სამსახური სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში გაითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრების მართვა, მათი განგრძობითი განათლება, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ანალიზი, შესაბამისობის კონტროლის სისტემა, ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის, ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია და დისტანციური/ადგილზე შემოწმება.

ამრიგად, სამსახურისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი აქტების, რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო მითითებების გაცემით საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და ევროდირექტივების მოთხოვნებთან.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრები

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის თაობაზე ცნობიერების ამაღლებისა და ეფექტიანი ზედამხედველობისთვის, სამსახური უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულ პირთა იდენტიფიკაციას, რაც გამოიხატება უკვე არსებული სერტიფიცირებული ბუღალტრების, აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეესტრებთან ერთად, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების რეესტრების მართვაში.

2016 წლიდან ჩამოყალიბდა აუდიტორთა და აუდიტორული ფირმების რეესტრები. 2020 წლიდან შეიქმნა სერტიფიცირებული ბუღალტრების ერთიანი რეესტრი, რომელიც განთავსებულია სამსახურის ვებგვერდზე, აღნიშნული უზრუნველყოფს სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ინფორმირებულობას განგრძობითი განათლების მიღების გზით, მათ შორის ფულის გათეთრების მიმართულებით.

2023 წელს შეიქმნა პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრებისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრები, რაც საშუალებას იძლევა მუდმივად ხდებოდეს ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირთა იდენტიფიცირება და აღრიცხვა. რეესტრები ემსახურება ერთი მხრივ, ანგარიშვალდებული პირების ცნობიერების ამაღლებასა და მათ მიერ კანონთან და საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობას, ხოლო მეორე მხრივ, სამსახურის გამართულ რისკზე დაფუძნებულ ზედამხედველობას ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმებით.

ანგარიშვალდებულ პირთა ცნობიერების დონის ამაღლებას, სამსახური, საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებებით, აგრეთვე განგრძობითი განათლების მოთხოვნების დაწესებითა და მისი მიღების შესაძლებლობის ხელშეწყობით.

ანგარიშვალდებულ პირთა საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ჩარჩოსა და ანგარიშვალდებულ პირთა ამაღლებული ცნობიერების ფონზე, სამსახური მიზნად ისახავს რისკზე დაფუძნებული მიდგომით ზედამხედველობის განხორციელებას, რისი უზრუნველყოფაც, კანონმდებლობის შესაბამისად, ხდება დისტანციური შემოწმებით ან/და ადგილზე შემოწმებით.

სამსახურის რესურსების გათვალისწინებით, რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, 2026 წლისთვის ანგარიშვალდებულ პირთა პოპულაციის დაახლოებით 10%-ის დისტანციური და ადგილზე შემოწმებები იგეგმება.

ზემოაღნიშნული ამოცანების ეფექტიანი შესრულების მიზნით, სამსახური ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ მიერ სფეროში არსებული სიახლეების მუდმივ გაცნობაზე.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის ზედამხედველობის მიზნებისთვის სამსახური აქტიურად უჭერს მხარს დიგიტალიზაციის პროცესს და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კომპეტენციის ფარგლებში ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

სტრატეგიული მიზანი 3

ევროკანონმდებლობასთან ეტაპობრივი და დინამიური დაახლოება

ამოცანა 3.1

ევროკავშირის რეგულაციების კანონმდებლობაში ასახვა და ეტაპობრივი დაახლოება

მას შემდეგ, რაც 2014 წლის სექტემბრის შემდეგ „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ნაწილობრივ შევიდა ძალაში, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში საკანონმდებლო საქმიანობამ მოითხოვა სამართლებრივი დაახლოების პროცესთან დაკავშირებული რეალიების გათვალისწინება და კანონშემოქმედებით საქმიანობაში ცალკეული დეტალების ინტეგრირება.

ვინაიდან ასოცირების შეთანხმებით განიმარტა ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ეტაპობრივი დაახლოება (gradual approximation) და დინამიური დაახლოება (dynamic approximation), სამსახურისათვის ორივე პრინციპი სამოქმედო გეგმას წარმოადგენდა რეფორმის საწყისი ეტაპიდანვე (2016 წლიდან), რათა აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს მიმართულებით ევროკავშირის სტანდარტები დანერგილიყო საქართველოს კანონმდებლობაში და გატარებულიყო არაერთი წარმატებული რეფორმა. სწორედ ამიტომ, სფეროს მარეგულირებელი, დღეს მოქმედი კანონის რედაქციაშიც აღნიშნულია, რომ ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა უნდა მოხდეს სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით.

2023 წლის მდგომარეობით ანგარიშგება-აუდიტის სფეროს კანონმდებლობას თუ შევადარებთ ამავე სფეროს მარეგულირებელ დირექტივებს და რეგულაციებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან წინგადადგმულია ნაბიჯები სფეროს გაძლიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. თუმცა, ქვეყანაში ყოველი რეფორმა მოითხოვს პრაქტიკის ანალიზის შედეგად საკანონმდებლო ნორმების ეტაპობრივ გადასინჯვას. იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივა შესაძლებლობას იძლევა, ქვეყანამ მიიღოს უფრო მაღალი სტანდარტები სამსახურის დღის წესრიგში მუდმივად დგას ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი აქტების ანალიზისა და ცვლილებების განხორციელების პროცესი.

სამართლებრივი აქტების ანალიზისა და ევროკავშირის მარეგულირებელ აქტებთან შესაძლო შეუსაბამობების გამოვლენის მიზნით სამსახურის მხრიდან განხორციელდა არაერთი პროექტი, კერძოდ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „დაძმობილების“ პროექტი (Twinning project) - „ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის ხარისხის ამაღლება საქართველოში“, რომელმაც მიზნად დაისახა სამსახურის მხარდაჭერა საქართველოში ფინანსური გამჭვირვალობის ამაღლებასა და ეფექტიანი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობაში. პროექტის პარტნიორად განისაზღვრნენ: 1978 წელს დაარსებული ორგანიზაცია - საერთაშორისო ევროპული ეკონომიკური სამართლის ცენტრი, რომელმაც 1998 წლიდან წარმატებით განახორციელა ათეულობით დაძმობილების პროექტი და ევროკავშირის წევრი ქვეყნის - საბერძნეთის ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ზედამხედველობის საბჭო (HAASOB). აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საფუძვლიანად მოხდა ეროვნული კანონმდებლობის ნაკლოვანებათა ანალიზი, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების ჩამონათვალის შემუშავება და რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) მომზადება, რაც დაეხმარა სამსახურს სამომავლო ხედვების ჩამოყალიბებაში.

აღნიშნულს მოწმობს 2022 წლის ივლისში გამართული, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ქვეკომიტეტის სხდომაც. ევროკომისიის წარმომადგენლების მიერ აღრიცხვა-ანგარიშგების და აუდიტის მიმართულებით განხორციელებული რეფორმა ძირითადად წარმატებულად ჩაითვალა, ხოლო ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები - ყველა ძირითად ასპექტში შესრულებულად. თუმცა, ამასთანავე, დინამიური აპროქსიმაციის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მხარეს ახალი ევროდირექტივებისა და რეგულაციების ამოქმედების კვალობაზე გაუჩნდება საქართველოს კანონმდებლობაში მათი ასახვის ვალდებულება.

ვინაიდან ახალი ევროპული პერსპექტივის ფარგლებში, საქართველოს ევალება ევროკავშირის კანონმდებლობის სრულად გადმოტანა, სამსახურმა კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის გზით უკვე დაიწყო ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ანალიტიკურ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების გაანალიზება. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს სამსახურს, რომ უზრუნველყოს ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში მოქმედ ევროპულ სტრუქტურებთან სამსახურის ინტეგრაციის პროცესების განვითარება, სამართლებრივი სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია, ევროპის კავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მიმდინარე ეტაპზე, ეტაპობრივი დაახლოების მიზნებისათვის (gradual approximation) შესაბამის ევროსტრუქტურებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობის დახმარებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული რამდენიმე საკითხის გამოყოფა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების დაჩქარებულ ვადებში მომზადება, რათა საფრთხის ქვეშ არ დადგეს საქართველოში ანგარიშგება-აუდიტის რეფორმის განხორციელება.

თავდაპირველ ეტაპზე დაგეგმილია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაცია (EU) No 537/2014 -ის („საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ”) საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვა. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, სამსახურის მიერ უკვე დაწყებულია შესაბამისი პროცესები საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით, შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტები. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაციიდან (EU) No 537/2014 გამომდინარე ცვლილებები შეეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა აუდიტორული ფირმებისათვის გამჭვირვალობის ანგარიშის წარდგენის ვალდებულების შემოღება და ასევე, აუდიტორული ფირმებისათვის არააუდიტორული მომსახურებების აკრძალვა, რომელიც პირდაპირ უქმნის დამოუკიდებლობის საფრთხეებს სდპ-ებისათვის მომსახურების გამწევ პირებს.

სამსახური მიზნად ისახავს მუდმივად ხორციელდებოდეს საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პროფესიულ წრეებთან, სასწავლო დაწესებულებებთან.

ამოცანა 3.2

დინამიური აპროქსიმაცია

2014 წელს რატიფიცირებული “ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ” შეთანხმების თანახმად უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის დინამიური აპროქსიმაცია. საქართველოსთვის მინიჭებული ევროპული პერსპექტივის ფარგლებში, დინამიური დაახლოების პროცესი უფრო მნიშვნელოვანი გახდა. იმისათვის, რომ საქართველომ ფეხი აუწყოს ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებს (EU acquis) ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგებების წარდგენისა და გასაჯაროების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია 2013/34/EU და 2006/43/EC დირექტივებში განხორციელებულ ცვლილებებთან ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

CBC (COUNTRY-BY-COUNTRY) ანგარიშგების მოთხოვნა

2013/34/EU დირექტივის შესწორება, რომელიც მიღებულ იქნა 2021 წლის 24 ნოემბერს, შეეხო მოგების გადასახადის შესახებ ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა ეხება საწარმოებს, რომელთა ბრუნვა ბოლო ორი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კონსოლიდირებული ანგარიშგების ფარგლებში შეადგენს 750 მლნ ევროს ან მეტს, მათ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

სამსახური გეგმავს ცვლილების ინიციირებას და შესაბამისი მოთხოვნების ასახვას კანონმდებლობაში და დაინტერესებულ მხარეებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს შორის ცნობიერების ამაღლებას მოგების გადასახადთან დაკავშირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურმა მოახდინა ევროკავშირთან „დაძმობილების“ პროექტის (Twinning project) ინიციირება, რომლის ფარგლებში სამსახური გაიზიარებს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას მოგების გადასახადთან დაკავშირებული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებზე.

კორპორაციული მდგრადობის (CSRD) ანგარიშგების მოთხოვნა

2023 წლის 5 იანვრიდან ძალაში შევიდა კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD), რამაც ჩაანაცვლა აქამდე არსებული არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა. ახალი მოთხოვნები შეეხება საწარმოთა უფრო ფართო წრეს. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სათათბირო ჯგუფი (EFRAG) და ფასს ფონდი (IFRS Foundation) ამზადებენ მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტებს დასამტკიცებლად. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მოთხოვნების მიზნებისათვის ცვლილებები განიცადა ასევე აუდიტის სფეროს მარეგულირებელმა, ევროკავშირის სამართლებრივმა აქტებმა ((EU) No 537/2014, Directive 2006/43/EC).

მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებების საპასუხოდ სამსახურმა ჯერ კიდევ 2021 წელს მოახდინა თანამშრომლობის ინიციირება მემორანდუმის გაფორმებით სახელმწიფო ზედამხედველ/მარეგულირებელ ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით, რომელიც მიზნად ისახავს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დანერგვასთან დაკავშირებული ქმედებების ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.

გარდა ამისა, სამსახური თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხრიდან სამსახურისთვის კონსულტაციების გაწევას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა დამხმარე აქტივობებს. აგრეთვე, „დაძმობილების“ პროექტის ფარგლებში იგეგმება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მოძიება.

აღნიშნული ამოცანის გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით, სხვა უწყებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციით და თანამშრომლობით სამსახური გეგმავს კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მოთხოვნების შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასა და ინიციირებას, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შერჩევას, თარგმნასა და სამოქმედოდ შემოღებას. ასევე, დაინტერესებული მხარეებისა და ანგარიშვალდებული საწარმოების ცნობიერების ამაღლებას, პროფესიული წრეებისთვის განგრძობითი განათლებისა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფას.



სტრატეგიული მიზანი 4

ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა

ამოცანა 4.1

სამსახურის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწა

სამართლებრივი აპროქსიმაციისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია მისი იმპლემენტაციის ვადების დაცვა. აუდიტის სფეროში, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულებისათვის აუცილებელი იყო მყარი, კარგად სტრუქტურირებული და გამართული სახელმწიფო მექანიზმის არსებობა - ამიტომ მიღებულ იქნა რეფორმისათვის საჭირო პროცესების განსაზღვრის გადაწყვეტილება, რომელმაც მიზნად დაისახა სფეროს მარეგულირებელი დირექტივებისა და რეგულაციების დაჩქარებული წესით დანერგვა, რამეთუ ასოცირების შეთანხმების XXVIII დანართით 2006/43/EC დირექტივის დებულებების შესრულება (ანგარიშვალდებულ საწარმოებთან მიმართებით) საქართველოს დაევალა შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 წლის განმავლობაში, რაც გულისხმობდა 2017 წლამდე აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა ვადის დაცვით, კერძოდ, 2016 წლის ივნისში. აქედანვე ჩაეყარა საფუძველი სამსახურის, როგორც ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ ორგანოდ.

სფეროს საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლად ყოფნა გულისხმობს მისი როგორც ბიზნესისგან, ასევე პროფესიისაგან მუდმივად განცალკევებულად დგომას. საზედამხედველო რგოლის დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მაღალ მოთხოვნას აყენებს როგორც ევროკავშირის, ისე მსოფლიოს საუკეთესო საზედამხედველო რგოლების პრაქტიკა. სამსახური, როგორც საზედამხედველო რგოლი, სტრუქტურული გაძლიერებისა და შენარჩუნების მიზნით მუდმივად იღებს თანამშრომლობის ხელშეწყობას და აცხადებს მზაობას გამოიყენოს აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხით დაინტერესებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დიალოგის გასამართი არაერთი პლატფორმა. დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მოთხოვნაა სწორედ სამსახურისთვის უპირველესი მიზანი ევროინტეგრაციის გზაზე.

სამსახურს ჰყავს უფროსი და მოიცავს ოთხ დეპარტამენტს რომელთაგან ერთ-ერთი, სამსახურის აპარატი, პარალელურად ემსახურება სამსახურთან არსებულ საბჭოსაც (იხილეთ ამოცანა 4.5). სამსახურის საქმიანობა მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპების საფუძველზე.

2023 წელს სამსახურის სტრუქტურა შეიცვალა, შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტი[2], ხოლო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტსა და აპარატში შეიქმნა ორ-ორი სამმართველო.

ნახსენები სამმართველოების შექმნა წარმოადგენს სამსახურის გრძელვადიანი ხედვის ნაწილს, რომელიც გულისხმობს სამსახურში საშუალო რგოლის მმართველობის ფუნქციის შექმნას/გაძლიერებას. აღნიშნული მიდგომა გააადვილებს თანამშრომელთა სპეციალიზაციას მათი როლებისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, შეიტანს მეტ სიცხადეს მათ ფუნქცია/მოვალეობებში, და შექმნის დაწინაურების / კარიერული წინსვლის მეტ შესაძლებლობას. ეს ყოველივე პოზიტიურად იმოქმედებს თანამშრომელთა შენარჩუნებასა და სამსახურში მიმდინარე სამუშაო პროცესების უწყვეტობაზე. ამ ხედვის ფარგლებში, მომდევნო წლებში იგეგმება სტრუქტურის ცვლილებები, როგორც აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტში, ასევე ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ზედამხედველობის დეპარტამენტში.

---

[2] დეტალურად აღწერილია მეორე მიზნის მეორე ამოცანაში.

სამსახურის სტრუქტურით გათვალისწინებულია 37 საშტატო და 9 შტატგარეშე თანამშრომელი. ამჟამად სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

სამსახურის სტრუქტურა



ამოცანა 4.2

მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მოძიება და შემდგომი შენარჩუნება

გრძელვადიანი მდგრადობისა და ინსტიტუციური გაძლიერების მისაღწევად, უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მოძიება და შემდგომი შენარჩუნება. კვალიფიციური თანამშრომლების აყვანის პროცესი საშუალოდ შეადგენს არანაკლებ 2 თვეს, რაც გარკვეულ ვითარებაში უქმნის სამსახურს საოპერაციო სირთულეებს, განსაკუთრებით თანამშრომლის სამსახურიდან მოულოდნელი წასვლის შემთხვევაში. კონკურსთან დაკავშირებული პროცედურების ხანგრძლივობამ და რამდენიმე საფეხურიანმა ეტაპმა, ასევე შეიძლება გამოიწვიოს გამოცდილი პროფესიონალების მიერ განაცხადების გაკეთებისგან თავის შეკავება. მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება ნაწილობრივ ხერხდება კანონმდებლობით დაშვებული გარკვეული საგამონაკლისო ნორმების გამოყენებით, კერძოდ, იშვიათი პროფესიის სტატუსის მინიჭებით, რომელიც იძლევა ამ სტატუსის მქონე პოზიციებზე შედარებით მაღალი ანაზღაურების გაცემის საშუალებას. ამჟამად აღნიშნული სტატუსი მინიჭებული აქვთ მხოლოდ აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორებს. არაიშვიათი პროფესიის პოზიციებზე კვალიფიცირებული პერსონალის მოზიდვა/შენარჩუნებაც კვლავ გამოწვევად რჩება.

სამსახურის ხედვით, დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებები (ამოცანა 1) პოზიტიურ გავლენას მოახდენს თანამშრომელთა მოტივაციაზე და გააადვილებს მათ შენარჩუნებას, რაც ქვემოთ აღწერილი საკითხების გადაჭრასთან ერთად მნიშვნელოვნად გაამარტივებს აღნიშნული ამოცანის შესრულებას:

კონკურენტუნარიანი ანაზღაურება

თანამშრომელთა მოტივაციის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, იშვიათ პროფესიებად განსაზღვრულ თანამდებობაზე გათვალისწინებული ანაზღაურება იყოს მიახლოებული იმ კერძო სექტორის შესაბამის სფეროს სახელფასო განაკვეთებთან, რომლის ზედამხედველობასაც შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების მეშვეობით ახორციელებს სამსახური. სამსახური განიხილავს საწარმოთა მიერ წარდგენილი ანგარიშგების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმომხილველისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მომუშავე პირებისა და ინსპექტორისთვის იგივე სტატუსის მინიჭებას.

პროფესიული განვითარების პროგრამები და მათი დაფინანსება

ცვალებად და სწრაფად პროგრესირებად გარემოში არსებითია სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაცია და საზედამხედველო პრაქტიკა მუდმივად შეესაბამებოდეს საერთაშორისო, მათ შორის ევროკავშირის გამოცდილებას, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომელთა განგრძობითი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მოქნილი სამუშაო გრაფიკისა და სწავლების შესაბამისი პროგრამების დაფინანსების უზრუნველყოფით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგები და სწავლების პროგრამები იყოს მიზანმიმართული, შესაბამის პოზიციაზე და პერსონალის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული.

ახალი თანამშრომლების აყვანის პროცესის ოპტიმიზაცია

თანამშრომელთა აყვანის პროცესის ხანგრძლივობის შემცირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სამსახურის მაძიებელ პირთა დაინტერესებას/აქტივობას და გაზრდის არჩევანის მრავალფეროვნებას.

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავება:

- თანამშრომელთა პროფესიული წარმატების ისტორიების გაზიარება საზოგადოებისთვის
- ურთიერთობების გაღრმავება უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან სტაჟირების პროგრამის პოპულარიზაციის მიმართულებით
- ახალგაზრდებში საჯარო სექტორში მუშაობის სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 4.3

შემოსავლების დამოუკიდებელი წყარო

სამსახური, სამართლებრივი ფორმით არის ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რაც დაფუძნების მომენტში მიჩნეული იყო ოპტიმალურ ორგანიზაციულ ფორმად რეფორმის გარდამავალი ეტაპისთვის (5-7 წელი). აღნიშნული სამართლებრივი ფორმა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროს არსებობის შესაძლებლობას. თუმცა, ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად და მეტი მოქნილობის მოსაპოვებლად სამსახურისთვის მნიშვნელოვანია შემოსავლების დამოუკიდებელი წყაროს შექმნა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციირება/განხორციელება.

ამ პროცესის ფარგლებში იგეგმება, სამსახურის მომსახურებებით დაინტერესებულ პირთა წრის იდენტიფიცირება, მოთხოვნის შესახებ ანალიზის ჩატარება და პოზიტიური შედეგის შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილების ინიციირება.

ამოცანა 4.4

საბჭოს საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება

სამსახურთან არსებულ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში, წარმოდგენილნი არიან რეფორმით დაინტერესებული ძირითადი მხარეები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, სსიპ - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, პროფესიული საზოგადოება, ბიზნეს ასოციაციები და აკადემიური წრეები. საბჭოსთვის კანონით განსაზღვრულ ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს სამსახურის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დავების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, სამსახურის ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა, სამსახურის უფროსის კანდიდატურაზე კონსულტაციების გაწევა და რეკომენდაციის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად საბჭოს საქმიანობა არ ანაზღაურდება, რაც ზღუდავს საჭირო რესურსებისა და დროის ხელმისაწვდომობას. სამსახურის საქმიანობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდის, საზედამხედველო ფუნქციის შემდგომი გაძლიერებისა და ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია საბჭოს ფუნქციების ოპტიმიზაცია და მისი უფლებამოსილებების გაფართოება, კერძოდ:

- საბჭოს ჩართულობა სამსახურის სტრატეგიულ მართვაში, სტრატეგიული მიზნების დასახვა/ფორმირებაში
- დავების განხილვის ფუნქციის გაძლიერება

ამოცანა 4.5

დავების განხილვის ფუნქციის გაძლიერება

სამსახურის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დავების განხილვა წარმოადგენს რეფორმაში მონაწილე სუბიექტების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს რგოლს, რაც ამავე დროს უზრუნველყოფს რეფორმის განვითარების ვექტორის სისწორეს დავების პროცესში მიღებული ინფორმაციის გაანალიზების, განზოგადებისა და სამსახურთან კონსტრუქციული უკუკავშირის მეშვეობით. თავის საქმიანობის მანძილზე, 2022 წლის ჩათვლით საბჭოში წარდგენილ იქნა 150-მდე საჩივარი, რომელთაგან დაახლოებით 30% აუდიტის, ხოლო 70% ანგარიშგების მიმართულებას შეეხებოდა. საგულისხმოა, რომ წარდგენილი საჩივრები უმეტესად განიხილებოდა მათი წარდგენიდან 3-5 თვის ვადაში, თუმცა ადგილი ჰქონდა 7-8 თვის ან გამონაკლისად უფრო მეტი ვადის შემდგომ საჩივრების განხილვას, რაც ძირითადად საბჭოს შემადგენლობის ცვლილებისა და ხელახალი დაკომპლექტების რამდენიმე საფეხურიანი პროცესით იყო განპირობებული.

სამსახურის დავების პროცესის მეტი დროულობის, ეფექტიანობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დავების განხილვის ფუნქციის ოპტიმიზაცია და გაძლიერება, რაც გააძლიერებს პროცესისადმი ნდობას რეფორმაში ჩართული მხარეების მხრიდან, გაზრდის სამსახურის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს დავების გადაწყვეტის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას.

შეჯამება

საქართველომ, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების განხორციელებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროინტეგრაციის მიმართულებით. ზემოაღნიშნული მიზნების შესრულება უფრო მეტად დააახლოებს სამსახურს მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან, ხელს შეუწყობს მისი საზედამხედველო ფუნქციებისა და მასზე დაკისრებული მისიის წარმატებით შესრულებას.